საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 28 იანვარი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01 / 07

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის განხილვის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების 9-ე მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების, განათლების, ჰუმანიტარულ და მეცნიერებათა და მუსიკის ფაკულტეტების სტრატეგიული გეგმის პროექტები.

2. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავებასთან დაკავშირებით შეიქმნას სარედაქციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ქეთევან ვაჩეიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფის ხელმძღვანელი;
- მაია ჭიჭილეიშვილი - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- მამუკა ჯორბენაძე - სახვითი, სასცენო და კინო - ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
- მაია გერსამია - სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
- ხათუნა მანაგაძე - მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2013 წლის 28 იანვრის № 04-01 / 07
დადგენილების

დანართი 1

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის

სტრატეგიული გეგმა

მისია:

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი არის სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სტუქტურული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლების და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის და მაგისტრატრის საფეხურის სასწავლო პროგრამებს და პროფესიული განათლების დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამებს.

ფაკულტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის, ფაკულტეტის დებულებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

<u>მიზნები და ამოცანები</u>

1. უმაღლესი სახელოვნებო შემოქმედებითი განათლების თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება.
2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) შემოქმედებით პრაქტიკულ საქმიანობაზე და შემოქმედებით სამეცნიერო კვლევაზე ორიენტი-რებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - მაგისტრების მომზადება.

ბ) შემოქმედებით პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფე-სიული განათლების მქონე პირების - ბაკალავრების და დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება.

<u>ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>

1. კულტურისა და ხელოვნების შესაბამის დარგებში:

ა) საბაკალავრო და სამაგისტრო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ბ) პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამების განხორციელება.

2. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა.
3. სხვა სახის საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობა.

ფაკულტეტის მისიაა უმაღლესი სახელოვნებო შემოქმედებითი განათლების თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება. სტუდენტზე ორიენტირებული საგანამანათლებლო სასწავლო-შემომედებითი გარემოს შექმნა. სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზება და განხორციელება მაღალი ხარისხის უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით. უმაღლესი კვალიფიკიაციის მქონე ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა. მუდმივი განახლება და ზრუნვა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე. საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სამეცნიერო კვლევებისათვის უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი გარემოს შექმნა, მეთოდური და ინფორმაცული უზრუნველყოფა.

ფაკულტეტი იზიარებს უნივერსიტეტის საერთო პასუხისმგებლობას თავის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი განათლების კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით გაცხადებული მიზნების შესრულებასთან. ფაკულტეტი მზად არის უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, საქართველოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების სისტემაში დამკვიდრებული ტრადიციების

გათვალისწინებით დანერგოს თანამედროვე სწავლების მეთოდები და აღზარდოს სახელოვნებო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შემოქმედებით წვლილს შეიტანენ ეროვნული კულტურის, ტრადიციების და ფასეულობების განვითარებაში.

ღირებულებები:
სტუდენტების აღზრდა ქართული და მსოფლიო კულტურის ფასეულობებზე, მათი ორიენტირება ეროვნული ტრადიციების დაცვაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ჰუმანიზმის იდეალების განვითარებაზე.

ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები და მათი ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი და ახალაგაზრდა პროფესორ-მასწავლებლები	არასაკმარისი ფინანსური რესურსები
კვალიფიციური განათლების მიღების შესაძლებლობა ხელოვნების სხვადასხვა დარგში	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არასაკმარისი დონე
ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია	ზოგიერთი მიმართულებით შემოქმედებით - პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რესურსების პრობლემა
სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სასწავლო-შემოქმედებითი პროდუქციის თვალსაჩინოება	ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების ბაზრის მოთხოვნილებებთან შეუსაბამობა
	სტუდენტთა კონტიგენტის სიმცირე ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგამებზე
	ძველი სახელმძღვანელოები
	ზოგიერთ მოთხოვნად სპეციალობაზე კადრების ნაკლებობა
	სუსტი ურთიერთობა უცხოეთის სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებთან
	არასაკმარისი აქტიურობა და ჩართულობა საერთაშორისო სახელოვნებო სფეროში
	კურსდამთავებულთა დასაქმება

საფრთხე	შესაძლებლობა
არასაკმარისი ფინანსური რესურსები	ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაცია
სტუდენტთა კონტიგენტის სიმცირე ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგამებზე	სხა უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლებიდან და სახელოვნებო დაწესებულებებიდან კვალიფიცირებული კადრების მოზიდვა
	ფაკულტეტზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო სახელოვნებო პროგრამების პოპულარიზაცია
	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სასწავლო-შემოქმედებითი პროდუქციის რეალიზაცია
	სტუდენტთა სწავლების პროგრამული დაფინანსება

სტრატეგიული მიზანი: სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის პერსპექტივიდან, მისიიდან, ღირებულებებიდან, ძლიერ და სუსტ მხარეთა ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი მიზნების მიღწევა:

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:
ფაკულტეტის სასწავლო -შემოქმედებითი მუშაობის ძირითადი პრიორიტეტები:

დაფინანსების წყაროების მოძიება, რაც ფაკულტეტს საშუალებას მისცემს, სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, შეინარჩუნოს მათი მაქსიმალური რაოდენობა;

დასაქმების ბაზრის და შესაბამისი კვალიფიკაციის თანამედროვე მოთხოვნილებების თანხვედრაში მოყვანის მიზნით ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სისტემატური განახლება.

საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მის მუდვივ განახლებაზე ზრუნვა. საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სამეცნიერო კვლევებისათვის უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი გარემოს შექმნა, მეთოდური და ინფორმაცული უზრუნველყოფა.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით რეგიონში არსებულ კულტურულ/სახელოვნებო დაწესებულებებთან (თეატრი, კინოცენტრი, ტელევიზია, რადიო, პრესამსახურები, სარეკლამო სტუდიები, სამოდელო სტუდია/სააგენტოები, დიზაინის სტუდიები და ა. შ.) მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ სემესტრული, საკურსო და სადიპლომო საწავლო-შემოქმედებითი პროექტების განხორციელება.

ფაკულტეტის უნიკალური და სხვა ფაკულტეტებისგან განმასხვავებელი ნიშან-თვისების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის მოზიდვისათვის.

ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლოს პროგრამების სტუდენტების და აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი პროექტების პოპულარიზაცია: გამოფენების მოწყობა, კინო-ტელე პროდუქციის საჯარო ჩვენებები, დრამისა და თოჯინური თეატრალური დადგმების წარმოდგენები.

სამაგისტრო პროგრამების განხორციელება, რაც საშუალებას მოგვცემს საჭირო მიმართულებით ადგილობრივი კადრების მომზადებას.

ფინანსურად წაახალისოს მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე ნებისმიერი სტუდენტი, ასევე გაიზარდოს სტუდენტთა პროგრამული დაფინანსების რაოდენობა, რაც აბიტურიენტებს უბიძგებს ჩვენს ფაკულტეტზე განაცხადის შემოტანისკენ.

თანამედროვე და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო რესურსებით უზრუნველყოფა (პროფესორ-მასწავლებელთა კონტინგენტი, ლიცენზირებული და თანამედროვე ლიტერატურა, ინტერნეტი, სხვათა გამოცდილების გამოყენება და სხვ.).

პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი დონის ამაღლება, მათი შემოქმედებითი და სამეცნიერო მუშაობისათვის პირობების შექმნა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება, მივლინება წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში;

ხელოვნებისა და კულტურის სფეროში შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებულ სპეციალისტთა მოზიდვის მიზნით მენეჯმენტის გაძლიერება; აკადემიური თუ მოწვეული კონტინგენტის მუშაობის ეფექტურობის შემოწმება; პრიორიტეტების დადგენა და მათი კონტროლი.

ეფექტიურობის მთავარი მაჩვენებლები:

- ფაკულტეტზე სწავლის მსურველთა და ჩარიცხულ სტუდენტთა მზარდი რაოდენობისსტაბილიზაცია;
- სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრება; დასაქმების ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის ზრდა;
- პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-აკადემიური ზრდა;
- ახალი მაღალკვალიფიცირებული კადრების მოზიდვა;

სწავლების პრაქტიკული მხარის გაუმჯობესება:

- სტუდენტთა უზრუნველყოფა საუკეთესო საგანმანათლებლო ტექნოლოგიებით, აუდიტორიებით/სახელოსნოებით
- უახლოესი სასწავლო მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა;
- გაუმჯობესდეს სწავლების მატერიალური უზრუნველყოფა

- სალექციო კურსი ნათლად გამოხატავდეს პრაქტიკული მეცადინეობის სპეციკურ მოთხოვნებს

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

- ყველა აუდიტორია უნდა პასუხობდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ხელს შეუწყობენსწავლების მაქსიმალურად ეფექტიურად წარმართვას.
- პროფესორ-მასწავლებლებს უნდა მიეცეს პროფესიული კვალიფიკაციის ზრდისა და

თანამედროვე სწავლების მეთოდების გაცნობის საშუალება.

- ფაკულტეტზე დასაქმებულ ყველა პროფესორ-მასწავლებელს საშუალება მიეცემა აქტიური

მონაწილეობა მიიღონ სასწავლო კურსის შინაარსის განვითარებაში, დაესწრონ სემინარებს, კონფერენციებს და სხვა ღონისძიებებს, რათა გაიცნონ სწავლების მეთოდების და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევები.

- სტუდენტთა არასავალდებულო ან არასააკადემიო პროგრამებში მონაწილეობის წახალისება.

წარმატებულ სტუდენტთა წახალისება და ყურადღების გამახვილება მათი ლიდერობის უნარ-ჩვევებზე. სტუდენტთა შორის პროფესიული ზრდისაკენ სწრაფვის ხელშწყობა. ფაკულტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულთა ჩართვა საფაკულტეტო ცხოვრებაში.

- ფაკულტეტის ბიუჯეტის გაზრდა და ეფექტურად გამოყენება:

ისეთი ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გაზრდის ფაკულტეტის ფინანსურ შემოსავალს და ხელს შეუწყობს სწავლისა და სწავლების უკეთეს ორგანიზებას:
ფაკულტეტის შემოსავალის გაზრდა არამარტო სტუდენტთა და მსმენელთა გადასახადის ხარჯზე, არამედ სხვა წყაროებიდან (გრანტები, სტიპენდიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, შემოწირულობანი).
შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევით - მუშაობის გაძლიერება, რაც საშუალებას მოგვცემს მონაწილეობა მივიღოთ გრანტის მოსაპოვებელ კონკურსებში.
ფაკულტეტის რესურსების გადანაწილება პრიორიტეტულ და გრძელვადიან სტრატეგიულმიზნებზე.
სპეციფიკური კამპანიის დაწყება იმისათვის, რომ მოვიპოვოთ დაფინანსება საერთაშორისო და საქართველოშო მოქმედი ორგანიზაციებიდან.

- ფაკულტეტზე დასაქმებული პედაგოგების ჩაბმა დარგის მუშაობაში, მათი პროფესიონალური დონის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

- ინფორმაციის მოზიდვისა და შეკრების მეთოდების გაუმჯობესება. ხელოვნებაში თანამედროვე მიღწევათა გაცნობა-ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნილებათა თანხვედრის და წარმატებული შემოქმედებითი პროექტების განხორციელების მიზნით.

- ამა თუ იმ დარგის ფარგლებში სხვა ფაკულტეტებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებთან აკადემიური და სტუდენტური პერსონალის გაცვლითი პროგრამების დანერგვა და ამ პროცედურის ხელმისაწვდომობა.

- ფაკულტეტზე სპეციალიზებული საბჭოს ჩამოყალიბება და მათგან ინფორმაციის მიღება დარგის განვითარების მიმართულებებისა და სტრატეგიის შესახებ;
- ფაკულტეტზე ღია მენეჯმენტის წარმართვა და ფაკულტეტზე არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

- სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ღირებულებების გაძლიერება, რათა ფაკულტეტის მთლიანი შემადგენლობა თავს გრძნობდეს კეთილმოსურნე გარემოში; ურთიერთობები უნდა

ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკუთარი აზრის თავისუფლათ გამოთქმის საშუალება.

<u>აკადემიური მუშაობის ძირითადი პრიორიტეტები</u>

- **სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი**

დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების კონცეპტუალური მიდგომები:
დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია ეფუძნება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების სტრატეგიულ მიზანს, ურთიერთობებს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. სწავლებისა და პრაქტიკის, უნარ-ჩვევების ხარისხის უწყვეტი ამაღლების შესაძლებლობას და საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესების პირობებს.
დეპარტამენტი სწავლებას ახორციელებს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე. დეპარტამენტის სტარტეგიული მიზანია საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლისა და სწავლების პროცესების რაციონალური პროგნოზირება. შეფასების კრიტერიუმების ოპტიმიზაცია.

- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მოთხოვნის ბაზრიდან გამომდინარე.
- აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული სილაბუსების განხილვა, განახლება.
- სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, უახლესი ლიტერატურის მოძიება და გამოყენება სწავლების პროცესში.
- უწყისების მონიტორინგი და სტუდენტთა ქულობრივი შეფასებების სტატისტიკური ანალიზი.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ყოველი სემესტრის ბოლოს უნდა მოხდეს როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გამოკითხვა.

•სტუდენტური და აკადემიური პერსონალის აქტივობების ხელშეწყობა (გამოფენები და სხვ.)

სასცენო ხელოვნების დეპარტამენტი

- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მოთხოვნის ბაზრიდან გამომდინარე.
- აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული სილაბუსების განხილვა, განახლება.
- სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, უახლესი ლიტერატურის მოძიება და გამოყენება სწავლების პროცესში.
- უწყისების მონიტორინგი და სტუდენტთა ქულობრივი შეფასებების სტატისტიკური ანალიზი.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ყოველი სემესტრის ბოლოს უნდა მოხდეს როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გამოკითხვა.

•სტუდენტური და აკადემიური პერსონალის აქტივობების ხელშეწყობა (საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები, პერფორმანსები და სხვ.)

დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების კონცეპტუალური მიდგომები:
მისია:
სტრატეგიული მიზანი:
განვითარების ძირითადი პრიორიტერები:

- **კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტი**
- დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების კონცეპტუალური მიდგომები:
- მისია:
- სტრატეგიული მიზანი:
- განვითარების ძირითადი პრიორიტერები

სწორია:

სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
განვითარების გეგმა
(2012-2017 წწ)

1. **საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება**

   ფაკულტეტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს არსებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება 2013 წლის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის. ამჟამად ფაკულეტზე მოქმედებს სამი საბაკალავრო, სამი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა :

   ა)კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი - B

   ბ)ხელოვნებათმცოდნე - B

   გ)კინომცოდნე -B

   დ)ხელოვნების თეორია და ისტორია (ძველი ქართული ხელოვნების ისტორია) – M

   ე)ხელოვნების თეორია და ისტორია (თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია) –M

   ვ)საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და შრომითი სწავლების მასწავლებელი -M

   ამჟამად მოქმედ პროგრამებთან ერთად ფაკულტეტი მიზნად ისახავს **ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებას** ბაკალავრიატში: კულტურული ტურიზმის, მასობრივი კომუნიკაცია - ტელე-რადიო ჟურნალისტიკის მიმართულებით, ხოლო უმაღლესი პროფესიული განათლების საფუხერზე - ტელერადიორეპორტიორის კვალიფიკაციით.

   უახლოეს პერიოდში აქტუალურია მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება, რაც უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობისა და სახვითი ხელოვნების მიმართულების სტუდენტებს და ამავე მიმართულების კურდამთავრებულებს საშუალებას მისცემს დასაქმდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით, საბაზო და სასუალო საფეხრზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლად.

2. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სასურველია **ერთობლივი პროგრამების მომზადება** საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან. ამ ეტაპზე დაგეგმილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებელთა მონაწილეობა კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ასევე თბილისის სამხატვრო აკადემიისა და გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლების მოწვევა ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებო პროგრამების განსახორციელებლად.

3. ფაკულტეტის აკადემიური განვითარების თვალსაზრისით მინშვნელოვანია **გაცვლით პროექტებში მონაწილეობა,** როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების

გაზიარების მიზნით. ამ კუთხით დაგეგმილია სამუშაო შეხვედრების მოწყობა როგორც თემატურ, ასევე სახელოვნებო განათლების საკითხებზე ქვეყნისა და უცხოეთის სახელოვნებო სასწავლებლების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4. ფაკულტეტის პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია **ერთობლივი საზაფხულო სკოლის** მოწყობა, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლების სტუდენტებისათვის.
5. **საერთაშორისო სასწავლო და შემეცნებითი** პროექტების განხორციელება საქართველოსა და უცხოეთის სახელოვნებო დაწესებელებების წარმომადგენელთა მონაწილეობით;
6. სასწავლო პროცესის განვითარების, მისი ინტელექტურლური პოტენციალის საზოგადოებასთან ინტეგრაციის, პრაქტიკული საგანმანათლებლო-შემეცნიებითი პროექტების განხორციელებეის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და** ამ მემორანდუმების ვალდებულებების შესრულება საქართველოსა და უცხოეთის სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებთან, მუზეუმებთან, ძეგლთა დაცვის ორგანიზაციებთან და სხვა.
7. ფაკულტეტი მიზნად ისახავს შრომის ბაზრის კვლევას და **სტუდენტთა დასაქმების პროცესის ხელშეწყობას**. ამ თვალსაზრისით დაგეგმილია ეტაპობრივი შეხვედრები კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებთან, რესურსცენტრებთან მათი წინადადებებისა და მოთხოვნების გასათვალისწინებლად. ასევე, რეკომენდაციების სისტემის დანერგვა დამსაქმებლებისათვის.
8. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური განვითარების პერსპეტივა ითვალისწინებს სახვითი და დეკორატიული ხელოვნების **მასწავლებელთა გადამზადების კურსების ამოქმედებას** საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის.
9. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია სემესტრული გასვლითი, **საველე სასწავლო პრაქტიკის** მოწყობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესასწავლად.
10. ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის საზოგადოებასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით სასურველია კინოკლუბის ამოქმედება, საჯარო შეხვედრების მოწყობა საზოგადოებისა და სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებთან.

სამეცნიერო მუშაობის მიზანია:

1. ყოველწლიური სამეცნიერო შრომების კრებულის - „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდების“ გამოცემა ;
2. დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა;

3. ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება ისეთ დისციპლინებში, რომლებშიც არსებობს ლიტერატურის დეფიციტი მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის.
4. სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება;
5. პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება;
6. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფორმებში .

ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითრების მიზნით:

1. თეორიული პროგრამებისათვის განსაზღვრული აუდიტორიების მოწყობა თანამედროვე ინვენტარითა და საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობით;

2. საკონფერენციო დარბაზების მოწყობა და აღჭურვა ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით;

3. უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე გამოცემებით;
4. ფაკულტეტის დეპარტამენტებთან არსებული საბიბლიოთეკო ფონდის შექმნა სალექციო კურსებისათვის გათვალისწინებული სამეცნიერო ლიტერატურით.

სწორია: